

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო  
დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო  
სისტემების მართვის დეპარტამენტი



მდინარე ბარცხანის კალაპოტის გაწმენდა ჩამონატანი ქვა-ღორღისაგან  
და ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმოების

სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული  
ელექტრონული ტენდერის საშუალებით  
განხორციელების

სატენდერო დოკუმენტაცია

---

ქ. ბათუმი

2014 წელი

# ს ა რ ჩ ე ვ ი

1.	ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეობისთვის .....	3
2.	ტექნიკური დოკუმენტაცია .....	7
3.	სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი .....	14
4.	დამატებითი ინფორმაცია .....	21
5.	დანართი №1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა .....	22
6.	დანართი №2 .....	23
7.	დანართი №3 .....	24
8.	დანართი №4 .....	25

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეობის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” შესაბამისად.

1.2. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოს დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით). აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხ. დანართი №1.

1.3. ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე.

1.6. ამ ინსტრუქციის 1.5. პუნქტის გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გეკნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთ) პროცენტს, ხოლო გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენს სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დაწყებიდან არანაკლებ 160 კალენდარულ დღეს.

1.8. მას შემდეგ, რაც ზემოთაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება, რომელიც ძალაშია “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-2 მუხლის პირველი პუნქტის “ჟ”, “რ”, ან “ტ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

1.9. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.12. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებით და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.14. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15. დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება

მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში-კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18. იმ შემთხვევაში თუ ორი და მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.20. თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

1.21. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაიარა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

1.22. პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუმის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-12

მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

ბ) თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

დ) თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-12 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში;

ე) თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ამ წესის მოთხოვნა დაცვით;

ვ) თუ ის არის “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული პრეტენდენტი და უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას;

ზ) თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ცაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

1.23. ამ ინსტრუქციის 1.22, ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.24. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-2 მუხლის პირველი პუნქტის “ჟ”, “რ”, და “ტ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;

გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის “უ”, “გ”, “ე”, “ზ”, ქვეპუნქტების შესაბამისად.

1.25. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისთვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.24. პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.26. ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას;

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულების დადებაამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდა მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ

გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის პრეტენდენტს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერების ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, ანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.27. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.28. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.29. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/ და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.30. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.31. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სახით სახელმწიფო შესყიდვების ერთიანელექტრონულ სისტემაში უნდა განათავსოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) რეკვიზიტები და სატენდერო წინადადების ფასი დანართი №2-ის შესაბამისად.

ბ) ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) დანართი №4-ის შესაბამისად.

გ) ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ დანართი №5-ის შესაბამისად.

პრეტენდენტ პირს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვნა და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, ცხრილში მოცემული მანქანა-მექანიზმები. ამასთან, უშუალოდ პრეტენდენტ პირს (ქვე-კონტრაქტორის გარეშე) საკუთრებაში უნდა გააჩნდეს ცხრილის 1-5 პოზიციებით მოთხოვნილი მანქანა-მექანიზმების მთლიანი რაოდენობის არანაკლებ 50%-ისა.

### ტექნიკის ჩამონათვალი

N	ტექნიკის დასახელება	რაოდენობა
1	2	3
1	ბულდოზერი	1
2	ექსკავატორი V-1.0 მ <sup>3</sup>	2
3	ავტოთვიმცლელი	8
4	სატკეპნი პნევმატური	1
5	წყლის ტუმბო	1

წარმოდგენილი იქნას მექანიზმების სარეგისტრაციო მოწმობის ან/და საკუთრების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ასლები (აუდიტის დასკვნა ან სხვა დოკუმენტაცია), ხოლო იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას აგრეთვე შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებებიც.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად. დანართი №5.

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა	რაოდენობა	მდგომარეობა, ასაკი.	მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა.
1 2 და ა.შ.					

ე) ინფორმაცია პრეტენდენტი პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) და მიმდინარე წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

პრეტენდენტ პირს უკანასკნელი 3 (სამი) და მიმდინარე წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 000 000 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები (ქვე-კონტრაქტორის გარეშე), ამასთან ამ პერიოდში, პრეტენდენტ პირს ერთ-ერთ ობიექტზე შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური სახის სამუშაო (ხელოვნური და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა) არანაკლებ 200 000 ლარის ღირებულების.

პრეტენდენტმა პირმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა).

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.



№	ხელშეკრულების №, თარიღი	სამუშაოების დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შესრულების ვადები	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება
1						
2						
და ა.შ.						

ვ) ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ.

-- შენიშვნა: ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორზე წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია.

- \* ქვე-კონტრაქტორის დასახელება და მისამართი;
- \* შესასრულებელი სამუშაოების დასახელება;
- \* შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება;

მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში სუბკონტრაქტორის აყვანის შესახებ. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს სუბკონტრაქტორს თავისი უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე. ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.

ზ) შესასრულებელი სამუშაოს გეგმა-გრაფიკი. სამუშაოს შესრულების ვადა შეადგენს ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარულ დღეს. სამუშაო უნდა განხორციელდეს გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, კერძოდ I თვეში შესრულდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების არანაკლებ 15 %-ისა, II თვეში არანაკლებ 20 %-სა, III თვეში არანაკლებ 25 %-სა, ხოლო IV თვეში არანაკლებ 40 %-სა.

2.6. ანგარიშსწორების პირობები:

2.6.1. ანგარიშსწორების პირობები განისაზღვრება ამ თავითა და ხელშეკრულების პირობებით.

2.6.2. სატენდერო წინადადების საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით,

2.6.3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.6.4. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დადასტურებული მოცულობების მიხედვით, შესრულებული სამუშაოების მიღების აქტი – (ფორმა №2), მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში.

2.6.5. ავანსი არ გამოიყენება.

2.7. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

2.7.1. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, დანართი №3-ის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, გამარჯვებულ მიმწოდებელს მოეთხოვება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენა 10%-ის ოდენობით.

2.7.2. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.7.3. იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა უნდა დაასაბუთოს სსიპ “ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის საფუძველზე. ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს პრეტენდენტი. დასკვნის წარმოუდგენლობა გამოიწვევს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

## 2.8 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

ა) ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს მდინარე ბარცხანის კალაპოტის გაწმენდა ჩამონატანი ქვა-ღორღისაგან და ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმოება.

ობიექტის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 1 047 350 ლარს.

2.8.1. სამუშაოთა შესრულების ვადები:

ბ) სამუშაოს შესრულების ვადა შეადგენს ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარულ დღეს. სამუშაო უნდა განხორციელდეს გეგმა-გრაფიკის შეასბამისად, კერძოდ I თვეში შესრულდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების არანაკლებ 15 %-ისა, II თვეში არანაკლებ 20 %-სა, III თვეში არანაკლებ 25 %-სა, ხოლო IV თვეში არანაკლებ 40 %-სა.

ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

## 2.8.2 სამუშაოთა შემადგენლობა

ა) დავალებით გათვალისწინებულია მდ. ბარცხანზე გოგოლისის ქუჩაზე არსებული ხიდიდან სოფელ ახალშენის გზა არსებულ ხიდიმდე 2050 გრძ.მ. კალაპოტის გაწმენდა ჩამონატანი ქვა-ღორღისაგან და ნაპირსამაგრი სამუშაოები.

პროექტით გათვალისწინებულია:

1) მდინარის კალაპოტის გაწმენდა ზედმეტი გრუნტებისაგან:

ლატვიროვა და გატანა 16800 კუბ/მ;

ადგილზე მოსწორება და მოზვინვა ფერდობებზე 5300 კუბ/მ

2) ნაპირდამცავი ბეტონის საყრდენი კედლები 4 მონაკვეთზე 50 გრძ.მ-ზე

– 161.8 კუბ.მ

3) ნაპირდამცავი გაბიონის საყრდენი კედლები 8 მონაკვეთზე 915 გრძ.მ-ზე

– 5484 კუბ.მ (20-30სმ დიამეტრის ქვის დამზადება მდინარის კალაპოტში);

სამუშაოების შესრულებისათვის საჭიროა მდინარის კალაპოტში დროებითი გზების მოწყობა ადგილობრივი მასალის გამოყენებით 4 მონაკვეთზე 1280 გრძ.მ-ზე.

მდინარის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოების დროს კალაპოტში არსებული არა გაბარიტული ბეტონის ნანგრევები, რომლებიც დინებას აფერხებს და უცვლის მიმართულებას უნდა დაიმარხოს დინების დონის ქვემოთ. კალაპოტი უნდა მოიჭრას ამჟამად არსებული დაბალი წყლის დონეზე.

შესასრულებელი სამუშაოები უნდა იყოს ორგანიზებული გამოყენებული მასალების, სამშენებლო მანქანებისა და რესურსების შესაბამისად, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნით.

მშენებლობის ხანგრძლივობის მაქსიმალურად შემცირების მიზნით, რეკომენდირებულია სამუშაოების კომპლექსური მექანიზმებით და სპეციალიზირებული საწარმოო ბრიგადებით შესრულება. შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების თანამედროვე მეთოდებისა და ფორმების გამოყენება.

მშენებლობის დამთავრების შემდეგ სრულდება სამშენებლო ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოთა სრული კომპლექსი.

აუცილებელია მომქმედი სტანდარტებით და ნორმებით ხელმძღვანელობა, მათი მოთხოვნების შესრულება შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკაში.

მომუშავენი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და აგრეთვე უნდა სრულდებოდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისძიებებიც.

აუცილებელია უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედი წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვა.

**ბ) ზედმეტი გრუნტის ამოღებისა და ჩაყრის ადგილები განსაზღვრულია დანართი №8-ში.**

**2.8.3. სამუშაო ადგილის მომზადება და გარემოს დაცვა**

შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;

შემსრულებელი პასუხისმგებელია ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პირობებში შესრულოს სამუშაოები პერსონალის უსაფრთხო პირობების და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემეგი პირობები:

- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლის უნარიაზობა.

- მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე და მგზავრებზე

- სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარები საგან, მასალებისაგან, ნაგვისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა. შ.

- სამუშაო ადგილის ფარგლებში უზრუნველყოს გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.

- სამუშაოების შესრულების პროცესში საავტომობილო გზაზე უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და შუქნიშნების დაყენება.

#### 2.8.4. სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

სახელმწიფო უფლებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა. ამ ჟურნალში ტექნიკური და მენეჯერული სისტემატიურად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები.

მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა სამსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

29. გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა და ფასები:

29.1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა დანართი №4-ის მიხედვით.

29.2. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

#### 2.10. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო სტანდარტების, წესებისა და ნორმების მიხედვით.

ბ) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსდაცვითი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 11 ივლისის №415 ბრძანების და სსიპ "გარემოს ეროვნული სააგენტოს" შესაბამისი დასკვნით (გეოლოგიური რეკონსტრუქციის პაკეტი) განსაზღვრული პირობებით ინვერტული მასალის მოპოვება (დანართი № 9, №10.)

გ) 2014 წლის 10 აგვისტომდე უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 4032,80 ლარის გადახდა, მათ შორის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისგან განთავისუფლებისათვის 1876 (ათას ოთხასამოცდათექვსმეტი) ლარი და მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისთვის (10784 მ<sup>3</sup> X 0.20 ლარი) - 2156,80 ლარი.

### 3მ ხელშეკრულების პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების პირობების დაზუსტება განხორციელდება ტენდერის ჩატარების შემდეგ.

ბათუმი

--- ----- 2014 წ.

აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი, მისი უფროსის კახა შამკაძის სახით, შემდგომში – შე მსყიდველი, ერთს მხრივ და ----- სახით, შემდგომში – მიწოდებელი, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვლებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

#### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მდინარე ბარცხანის კალაპოტის გაწმენდა ჩამონატანი ქვა-ღორღისაგან და ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმოება.

– შემდგომში სამუშაო.

#### მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშ სწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს ----- ლარს.

2.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია), ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3. მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტურად შესრულებული სამუშაოების მიმდინარე და ჯამური (დამატებული ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნახარდი ჯამის ჩვენებით.

2.4. შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება მოხდება შესრულებული სამუშაოების მიღების აქტის (ფორმა №2), მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში.

2.5. მიმწოდებლის მიერ სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებული წესის შესაბამისად წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე. შუალედური გადახდები იწარმოებს მე-5 მუხლის 5.1. პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპების შესაბამისად.

2.6. ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველის და სამისისოდ შერჩეული პირის (ზედამხედველი) მიერ დადასტურებული აქტი და კომისიის მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი.

2.7. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთენტიკულობის შესრულებაზე და მის გადახდაზე.

**2.8 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს 3(სამი) წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.**

### **მუხლი 3. სამუშაოს შესაბამისობა**

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს მოქმედი საშემნებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად.

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

### **მუხლი 4. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. სამუშაოს მიღება ხორციელდება შესაბამისად ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნულ ადგილზე.

4.2. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების აქტის ფორმა №2-ის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

**4.3. შესრულებული სამუშაოების მოცულობების, ხარისხის და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლს და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებენ - დეპარტამენტის ტექნიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი – შალვა ქათამაძე და ტექნიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი ზურაბ ასამბაძე (წარმომადგენელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში).**

4.4. სამუშაოების მიღება-ჩაბარებას უზრუნველყოფს დეპარტამენტის საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობებისა და რეაბილიტაციის სამუშაოების მიმღები კომისია

4.5. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარებას უზრუნველყოფს დეპარტამენტის დასრულებული სამუშაოების მიმღები კომისია, სამუშაოების წარმოების ქურნალის, ფარული სამუშაოების აქტების, მასალების სერთიფიკატის წარმოდგენის შემდეგ.

## მუხლი 5. მხარეთა უფლება- მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სამუშაოები აწარმოოს გეგმა-გრაფიკის მიხედვით, კერძოდ: I თვეში შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების არანაკლებ 15 %-ისა, II თვეში არანაკლებ 20 %-სა, III თვეში არანაკლებ 25 %-სა, ხოლო IV თვეში არანაკლებ 40 %-სა.

ბ) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 11 ივლისის №415 ბრძანების და სსიპ “გარემოს ეროვნული სააგენტოს” შესაბამისი დასკვნით (გეოსაინფორმაციო პაკეტი) განსაზღვრული პირობებით ინერტული მასალის მოპოვება (დანართი № 9, №10).

გ) 2014 წლის 10 აგვისტომდე უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 4032,80 ლარის გადახდა, მათ შორის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისგან განთავისუფლებისათვის 1876 (ათას რვაასსამოცდათექვსმეტი) ლარი და მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისთვის (10784 მ<sup>3</sup> X 0.20 ლარი) - 2156,80 ლარი.

დ) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ე) უზრუნველყოს ტენდერთი გათვალისწინებულ საავტომატო გზებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეჟიმის შეცვლის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადმოცემა შემსყიდველზე და შესაბამისი სამსახურზე;

ვ) მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს შესრულებულ სამუშაოს, შემსყიდველ ორგანიზაციაში სამუშაოების მიღების არსებული წესისა და დამტკიცებული ფორმების თანახმად განსაზღვრულ ვადებში;

ზ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს საქართველოს კანონის “საავტომობილო გზების შესახებ”, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების მიხედვით;

თ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იქონიოს მუდმივი კავშირი შემსყიდველი ორგანიზაციასთან;

ი) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

კ) ანგარიშსწორებისას მიუთითოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიმდინარე და ჯამური ღირებულება;

ლ) სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა- მოსამსახურეების შედგენლობის არანაკლებ 70 პროცენტი დააკომლექტოს საქართველოს მოქალაქეებით;

მ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

ნ) ზედმეტი გრუნტის ამოღება და ჩაყრა განახორციელოს დანართი №8-ში მითითებული ადგილების შესაბამისად.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:



ა) აწარმოოს ინსპექტირება საამსოლ შერჩეულ პირთან ერთად სამუშაოს მიმდინარეობაზე, თანახმად მოქმედი სამშენებლო ნორმები სდა წესები ს, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

5.3. ტენდერით გათვალისწინებულ საავტომობილო გზაზე მიმწოდებლის მიხედვით მოძრაობის დროებით შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს და ზიანის წარმოშობის შემთხვევაში მას ანაზღაურებს საკუთარი ხარჯით.

5.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების ინსპექტირების მიხედვით შერჩეული სხვა პირების მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები, რის შემდგომაც შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულები სუზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი. თუ მიმწოდებელის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამგვარ აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი სახსრებით უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა დაუყონებლივ.

5.5 უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ კომისიური წესით შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტებით შესრულებული სამუშაოთა ღირებულება.

5.6 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან - შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას.

**5.7 შემსყიდველი და მის მიერ ინსპექტირებისათვის შერჩეული პირი ვალდებულია მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლი.**

## **მუხლი 6. ფორს-მაჟორი**

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინ ასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღუმატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2 მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე.

ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

## **მუხლი 7. პასუხისმგებლობა**

7.1. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0,3% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

7.2. მიმწოდებელს ეკისრება ვალდებულება გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების მე-5 მუხლის, 5.1. პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყოველთვიურად შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,3 %-ის ოდენობით.

**7.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 (ერთ) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.**

7.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## **მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია**

8.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული უპირობო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% -ის ოდენობით. **იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, გამარჯვებულ მიმწოდებელს მოეთხოვება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენა 10%-ის ოდენობით.**

გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გაძვე მ დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

8.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, როდესაც მაღდება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენების შემთხვევაში.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სორცთელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტიის ფარგლებში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის გათვალისწინებით.

8.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.

8.6. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

## **მუხლი 9. დაზღვევა**

არ გამოიყენება

## **10. ხელშეკრულების შეწყვეტა**

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

10.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედებათუ:

- ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს)
- ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (მოუხედავად მისი დაწყების დროისა);
- გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;
- დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;
- ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.

## **მუხლი 11. უფლებების გადაცემა**

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, სარჯებითა და რისკით.

## **მუხლი 12. სუბკონტრაქტორები**

12.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში სუბკონტრაქტორის აყვანის შესახებ.

12.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს სუბკონტრაქტორს თავისი უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.4 ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.

12.5 მუშაობის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

12.6 სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

### **მუხლი 13. შეტყობინება**

13.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება ელფოსტის, დეკემის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი ძღვენის დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან ღებება.

### **მუხლი 14. ინსპექტირება**

14.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული დეპარტამენტის ტექნიკური განყოფილება.

14.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.

14.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

14.4 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე. შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი და კონტროლი ევალება დეპარტამენტის ტექნიკურ განყოფილებას (უფროსი ა. გაბაიძე). ხელშეკრულების პირობების საერთო კონტროლი ევალება დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს სერგო დუმბაძეს.

14.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14.6 სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი აწარმოებს კონტროლს თანახმად საქართველოს კანონის “საავტომობილო გზების შესახებ”, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების

და წესების, აგრეთვე ტექნიკური პირობების, ხელშეკრულების პირობების თანახმად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

### **მუხლი 15. სხვა პირობები**

15.1 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

15.2 იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების

ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამოდინარე, ან რაიმე წინასწარ გათვალისწინებული მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

15.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15.5 მხარეთა შორის წარმოშობილი სხვადასხვა საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლ აპარაატების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ორი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.7 საკვალიფიკაციო მონაცემები, ტექნიკური პირობები, სამუშაოების შესრულების ხარჯთაღრიცხვა საგარანტიო უზრუნველყოფა, სპეციფიკაციები და სხვა დოკუმენტაცია თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

**16.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარულ დღეში.**

16.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

## მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

#### **4. დამატებითი ინფორმაცია**

4.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილებაში. ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №72, საკონტაქტო პირი: **ზებურ ჩავლეიშვილი** (შესყიდვების განყოფილება) ტელ: 599-158798, (0422) 24-73-66.

არსენ გაბაიძე (ტექნიკური განყოფილება) 577-302750.

**ელექტონული ფოსტა –tenders@ajararoads.**

**აფიდავიტი                      დანართი №1**  
**სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე**

მე, ქვემოთ ხელმომწერი, \_\_\_\_\_  
(სახელი, გვარი, პ/ნ)

\_\_\_\_\_ სახელით,  
(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას \_\_\_\_\_

(შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)

მის მიერ \_\_\_\_\_

-----

-----

-----

(ტენდერის გამოცხადების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში.
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
  - ა) სატენდერო წინადადების ფასი;
  - ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
  - გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
  - დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს.
  - ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.
6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

(პრეტენდენტის რეკვიზიტები)

(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში

შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

პრეტენდენტის ხელწერა და ბეჭედი:



(უპირობო საბანკო გარანტია)

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ (შემდგომში - „მიმწოდებელი“)  
(მიმწოდებლის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი)

(ტენდერის დასახელება)

ტენდერში წარდგენილი თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთაღნიშნული გარანტია.

ამასთან, დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და უპირობოდ ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა), თქვენს მოთხოვნაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე, თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

\_\_\_\_\_

(თარიღი)

(მისამართი)

## მდინარე ბარცხანის კალაპოტის გაწმენდა ჩამონატანი ქვა-ღორღისაგან და ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმოება

სარჯთაღრიცხვა, შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობების უწყისები, ნახაზები, გრუნტის ამოღებისა და ჩაყრის ადგილები, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2014 წლის 11 ივლისის №415 ბრძანება, გეოსაინფორმაციო პაკეტი მოცემულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან სისტემაში დანართი №4, №6, №7, №8, №9, №10-ის სახით.